ხაშურის მოამბე

№17 (198) 28 აპრილი, კვირა, 2019 წელი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესია ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის. ეს არის ცოდვაზე გამარჯვების ზეიმი. აღდგომას წინ უსწრებს საადგომო მარხვა, რომელიც 48 დღე გრძელდება და სულიერად გვამზადებს ამ უდიდეს დღესასწაულთან შესახვედრად.

იესოს ჯვარცმის შემდეგ ორმა დღემ გაიარა. მესამე დღეს კი უნდა აღსრულებულიყო ქრისტეს წინასწარმეტყველება: "მესამე დღეს მკვდრეთით აღვდგები". კვირა დღეს, გამთენიისას, საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს. მერე ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავიდან ლოდი გადააგორა. ბოლოს იხილეს მაცხოვრის საფლავიდან აღდგომა. შიშით თავზარი დაეცათ და როდესაც გონს მოეგნენ, გაიქცნენ.

ჯერ გათენებული არ იყო, როცა მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვები საფლავთან მიდიოდნენ, რათა იესოს სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, რაც დამარხვის დროს ვერ მოასწრეს. ქრისტეზე მგლოვიარე მარიამმა, როცა დაინახა გადაგორებული ლოდი და ცარიელი საფლავი, იფიქრა, რომ ქრისტეს სხეული მტრებმა წაიღეს. დაიჩოქა და მწარედ ატირდა.

მაშინ ორი ანგელოზი იხილა. მათ მაგდალინელს ტირილის მიზეზი ჰკითხეს. მარიამმა უთხრა, რომ უფალზე ტიროდა. ეს რომ თქვა, უკან მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე დაინახა. მარიამი ვერაფერს მიხვდა, ეგონა, მებაღეაო. მაშინ იესომ უწინდელი ხმით დაუძახა: "მარიამ!" მარიამმა მაშინვე იცნო ხმაზე იესო. გაქანა, უნდოდა მუხლებზე მოჰხვეოდა, მაგრამ იესომ მას შეხების უფლება არ მისცა. გაგზავნა თავის ძმებთან და დააბარა, რომ ეთქვა: "აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქვენისა, ღვთისა ჩემისა და ღვთისა თქვენისა თანა". მარიამმა სასწრაფოდ ახარა იესოს აღდგომა იოანე და პეტრე მოციქულებს. მათ მიირბინეს მაცხოვრის საფლავთან და ნახეს, რომ ის ტილო, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული, ცალკე იდო, ხოლო სუდარა – ცალკე. იოანემ დაიჯერა, პეტრეს კი უკვირდა ეს ამბავი.

იესო ქრისტე, ორმოცი დღის განმავლობაში, არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს. იგი მოციქულებს ღვთის სასუფეველზე ესაუბრებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, რომლებიც სხეულზე ჰქონდა დარჩენილი და რამდენიმე სასწაული. ამის შემდეგ კი ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს, რომელთაც ეს მანამდე არ სჯეროდათ. იესომ წმიდა სისხლით გამოგვისყიდა ცოდვისა და სიკვდილის მონებისგან.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხების წითლად შეღებვის ჩვეულება. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს, ანუ ქრისტეს ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. საადგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: "მე ვარ პური ზეცით გარდამოსული".

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!



ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების ანგარიში

ამ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (კომისიის თავჯდომარე მამუკა წიქარიშვილი) მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სამი თვის ანგარიში. სხდომაზე აღინიშნა, რომ: ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის № 78 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით,2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 13 606.1 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის სახით ირიცხებოდა 1 838,1 ათასი ლარი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 18 910,2 ათასი ლარით, რაც 5 304,1 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შემოსულობების საკასო შესრულებამ 2 854,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 94,4%, ხოლო წლიური გეგმის 18,4%-ს შეადგენს. 2019 წლიდან, გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლად განისაზღვრა დამატებითი ღირებულების გადასახადი. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას, ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა - 83,2%-ით (2 113,0 ათასი ლარი),მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი - 99,7%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი - 25%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 250%-ით, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 47,7%-ით, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 29,1%-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 104,2%-ით (395,3 ათასი ლარი), მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 88,0%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - 136%-ით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 0,0%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 95,4%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 76,1%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან –20%-ით, შემოსავალი შენობა-ნაგებობების იჯარიდან – 180%-ით. ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა – 449,8%-ით.

2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 4,2%-ს (121,1 ათას ლარს), „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 225,0 ათასი ლარი, მიღებულია – 56,4 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 402,6 ათასი ლარი ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად. კერძოდ, აღნიშნული განკარგულებით, გათვალისწინებულია ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალის, რეზერვუარისა და დასახლებების ჯგუფური მიწოდების სისტემის მოწყობა (პირველი ეტაპი), დაბა სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში თამარ მეფის პირველი და მესამე ჩიხების მოასფალტება, სოფელ ვაყაში გზის მოასფალტება, სოფელ ხცისიდან სოფელ კრისხევამდე გზის მოასფალტება და ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ავტომაგისტრალის გასწვრივ ღობეების მოწყობა.

„სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 557 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 474 046 ლარი ქალაქ ხაშურში მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება რეაბილიტაციის განსახორციელებლად.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის 13 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 910 000 ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 64 675 ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის 45 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 844 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 3 483.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 72,02%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით სამი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 85.2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 21,0%), თავდაცვა - 98.4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 1,1%), ეკონომიკური საქმიანობა - 71.7% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 4,8%), გარემოს დაცვა - 115.2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 11,8%),საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 148.2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 12,6%), ჯანმრთელობის დაცვა - 93,4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,8%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 75,8% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 15,0%), განათლება - 79,4% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 18,4%), სოციალური დაცვა - 95,2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 14,5%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 93,29%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები-97,5%-ით, სუბსიდიები-90,11%-ით, გრანტები-99,45%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 99,16%-ით, სხვა ხარჯები - 98,36%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 32,23%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №78 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სოფელ ჩორჩანაში გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის სავალი ნაწილის სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოებში მონაწილე პერსონალის კვებითი მომსახურეობის უზრუნველყოფისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 14 თებერვლის № 537 ბრძანების საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 1,0 ათასი ლარი.

დედამიწის დღე დასუფთავების აქციით აღინიშნა

22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი ღონისძიებები განხორციელდა.

მშენებარე ლიტვის პარკის (ყოფილი აგურის ქარხნის) მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა დასუფთავების აქცია, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციები და საჯარო სკოლები.

იმერეთის ქუჩაზე მდებარე ახლადაშენებულ სპორტკომპლექსის ეზოში კი გამწვანების აქცია მოეწყო. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილმა, მერის მოადგილეებმა ზვიად ქურდაძემ და ზურაბ როსებაშვილმა სხვადასხვა სახეობის ნერგები დარგეს.

დედამიწის საერთაშორისო დღე 192 ქვეყანაში აღინიშნება, საქართველო მათ რიცხვს 1990 წლიდან შეუერთდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში გამართული ღონისძიებების ორგანიზატორი იყო მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური.

პანკისში, ჰესის მშენებარე კომპანიის მფლობელი ხაშურელი მევლუდ ბლიაძეა

ამ დღეებში, პანკისის ხეობაში, ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. ადგილობრივი მოსახლეობა მშენებლობის წინააღმდეგ გამოვიდა და მათი დაპირისპირება სამართალდამცავებთან მთელმა საქართველომ იხილა. ჩვენი აზრით, მოსახლეობის ნაკლები ინფორმირებულობის გარდა, აშკარად იკვეთება მართული საბოტაჟი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და ენერგოდამოუკიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული. თუმცა, ეს სხვა თემაა და ამაზე – სხვა დროს. ჩვენთვის საინტერესო კი ისაა, რომ კომპანია, რომელიც ჰესს აშენებს, ხაშურელი მევლუდ ბლიაძის მფლობელობაშია. უფრო დაწვრილებით კი, პანკისის ხეობაში ჰესების აშენებას კომპანიები „ალაზანი ენერჯი“ და „ფერი“ გეგმავენ. „ხადორი 2“ შპს „ფერის“ საკუთრებაა, ხოლო ჰესს შპს „ალაზანი ენერჯი“ აშენებს.

რეესტრის 3 აპრილის ამონაწერით, შპს „ფერის“ 96%-ს იოსებ მჭედლიშვილი, 4%-ს კი კახაბერ შევარდნაძე ფლობს. კომპანიის დირექტორი მერაბ იორდანიშვილია. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2017 წელს „ფერის“ შემოსავალმა 71,281 მლნ ლარი შეადგინა, პირდაპირი ხარჯები კი 50,674 მლნ ლარი იყო. ანგარიშგების მიხედვით, კომპანიის მოგებამ დაბეგვრამდე 2017 წელს 14,833 მლნ ლარი შეადგინა.

ამასთან, ანგარიშგების მიხედვით, „ფერის“ საკუთრებაშია სს „დარიალენერჯი“, რომელიც ფლობს ჰიდროელექტროსადგურს „დარიალჰესს“. ამ უკანასკნელის მშენებლობა 2016 წლის ნოემბერში დასრულდა. „დარიალი ენერჯიმ“ ელექტროენერგიის წარმოება და გაყიდვა 2016 წლის ბოლოსთვის დაიწყო.

გარდა ამისა, როგორც რეესტრშია აღნიშნული, „ფერი“ ფლობს შპს „ენერგიას“ 30%-იან წილსაც. სწორედ ამ უკანასკნელმა ააშენა ყაზბეგში „ლარსი ჰესი“ და ყვარლის რაიონში „შილდა ჰესი“. „ენერგიას“ 70%-იან წილს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მევლუდ ბლიაძე ფლობს.

მისი ბიოგრაფი კი ასეთია: იგი ხაშურში დაიბადა 1954 წელს, დაამთავრა ხაშურის მე-5საშუალო სკოლა და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მოგვიანებით რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. 1992 წელს კი რუსული სააქციო საზოგადოება „პილონის” ხელმძღვანელობა დაიწყო. სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მევლუდ ბლიაძემ საქართველოს ყველაზე მსხვილ ინვესტორებს შორისაა. „პოლინი“, რომლის დირექტორთა საბჭოს თავჯდომარეცაა იგი, გახლავთ, სანკტ პეტერბურგში ხიდების, გზების რეკონსტრუქციასა და შეკეთებას უზრუნველყოფს და ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა ამ მიმართულებით. დღეს საქართველოში მოქმედი რამდენიმე ჰესი შპს „ენერგიას” ეკუთვნის, რომელიც 2010 წელს დაფუძნდა და რომლის 70 პროცენტიანი წილის მფლობელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მევლუდ ბლიაძეა. იგი რუსეთში ერთ-ერთ უმდიდრეს ბიზნესმენად ითვლება

ხაშურის III საჯარო სკოლის მოსწავლე ბარბარე ჭყოიძე თანატოლებს მაგალითს აძლევს

ბარბარე ჭყოიძე - FLEX პროგრამის (მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა) კურსდამთავრებულია. ამ პროგრამის ფარგლებში, ბარბარემ, 2017-2018 წლებში ამერიკაში, ვირჯინიის შტატში, ქალაქ მონტკლერში, სენატორ ქოლგანის სახელობის სკოლაში გაატარა. წარმატებით დაასრულა მე-10 კლასი და მრავალი ჯილდოს მფლობელიცაა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო განათლების ამერიკულ საბჭოებთან, არის ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელი ქალაქ ხაშურში და სტაჟიორი ხაშურის ამერიკის კუთხეში. ბარბარე ამავე დროს 2018-2019 სასწავლო წლის ხაშურის „ეტალონ მოსწავლე“ გახდა. იგი მაისის ბოლოს, მიწვეულია უკრაინაში ერთი კვირით FLEX პროგრამის კურსდამთავრებულთა ტრენინგზე.

როგორც FLEX პროგრამის კურსდამთავრებულმა და აქტიურმა წარმომადგენელმა, ბარბარემ მოიპოვა GYSD (გლობალური ახალგაზრდული მოხალისეობის დღე) გრანტი და განახორციელა პროექტი „ერთად ვიზრუნოთ გარემოზე“. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს მიერ, რომელიც საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების ხელშეწყობით. პროექტს ასევე მხარი დაუჭირა ხაშურის ამერიკის კუთხემ და ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა.

პროექტი მოიცავდა ტრენინგებს 25 ლიდერისთვის(რომლებიც ბარბარემ შეარჩია ხაშურის სხვადასხვა სკოლიდან) და დასუფთავების აქციას. ტრენინგი იყო შემდეგ თემებზე: ლიდერობა, მოხალისეობა, ეკოლოგია და გარემოს დაცვის პრობლემები. ტრენინგებში აქტიურად მონაწილეობდნენ აქტივისტები: LIFE ბანაკისა და FLEX და CYLP პროგრამების კურსდამთავრებულები: მარიამ ბაიდაური, ელენე გოგალაძე, ელენე კაპანაძე, გიორგი ლაცაბიძე.

პროექტის მიზანი, მონაწილეების ლიდერული და ორგანიზაციული უნარების განვითარება, თემში არსებული ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, აგრეთვე სხვადასხვა მოხალისეობრივ საქმიანობაში მათი ჩართვა იყო.

პროექტის ფარგებში გამართულ დასუფთავების აქციაში, რომელიც 14 აპრილს გაიმართა, შერჩეულმა ლიდერებმა, სხვა სკოლის მოსწავლეებიც ჩართეს. დასუფთავდა ბანას მშენებარე კომპლექსის მიმდებარე ტერიტორია და ზემო სერის ტყე. 170-ზე მეტმა მოხალისე მოსწავლემ და სხვა აქტივისტმა საოცარი ენერგიითა და მონდომებით დაასუფთავეს აღნიშნული ტერიტორია. აქციის ბოლოს, მონაწილეებს ბარბარე ლანჩით გაუმასპინძლდა.

დასუფთავების აქციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მშვიდობის კორპუსის მოხალისე ამერიკელმა მასწავლებელმა, ენსლი მორლიმ. აქციაზე ასევე იმყოფებოდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, გიორგი გურასპაშვილი.

ლიდერები პროექტს გააგრძელებენ აქციაში მონაწილე სკოლებში. სკოლებში პროექტის დასრულების შემდეგ, ლიდერებს ბარბარე გადასცემს სერთიფიკატებს, გამოავლენს საუკეთესო ლიდერს და საუკეთესო სკოლას გადაეცემა პრიზი, რაც იქნება ერთგვარი სტიმული სხვა მოსწავლეებისთვის, ჩაერთონ სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16)

XVIII საუკუნეში იტრია ხშირად გამხდარა ლეკთა თავდასხმის ობიექტი. 1732 წელს წიფიდან გადმოვიდნენ ლეკები და იტრია „წაახდინეს“ – აღნიშნავს სეხნია ჩხეიძე. ასეთი თავდასხმები, როგორც ჩანს, ხშირი ყოფილა, რამაც უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობაზე. თუ 1715 წელს აქ 42 კომლი მოსახლე იყო, უკვე 1804 წელს აქ 8 კომლი სახლობს, რომლებიც ჩხეიძეებსა და აბაშიძეებს ეკუთვნოდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან მოსახლეობა აქ იმერეთიდან გადმოდის და ხელმეორედ ხდება იტრიის დასახლება.

1865 წლის აღწერით, აქ 12 კომლი გლეხი სახლობს. ამათგან 9 კომლი სახელმწიფოა, ხოლო 3 საეკლესიო.

1886 წლის აღწერით, იტრიაში უკვე 32 კომლი ცხოვრობს (98 კაცი და 89 ქალი, სულ 187 კაცი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

იტრიაში სახლობენ გვარები: აბრამიშვილი, არევაძე, ბანცაძე, ბეგალიშვილი, ბებიაძე, ბირკაძე, გეგეშიძე, გელაშვილი, გველესიანი, გოგალაძე, გორგაძე, გოჩაშვილი, გრიგალაშვილი, დარბაიძე, დოფნაძე, ებანოიძე, ზუმბაძე, თედელური, თიბილაშვილი, იმნაძე, კიციტაძე, კიკვიძე, კიკოლაშვილი, კიპაროიძე, კორკოტაძე, კურბატოვი, კურტანიძე, კუტალაშვილი, ლაცაბიძე, ლომიძე, ლომსაძე, ლურსმანაშვილი, მათიაშვილი, მაისურაძე, მამუკაშვილი, მარუაშვილი, მახათაძე, მესხი, მეტივიშვილი, მეტრეველი, მოსიაშვილი, მულაძე, მურჯიკნელი, ნოზაძე, ოთარაშვილი, პაქსაშვილი, სარალიძე, სხილაძე, ტაბატაძე, ტალახაძე, ტეფნაძე, ულუმბელაშვილი, ქურდაძე, ფატარიძე...

იტრიაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების ცნობილი ეკლესიის სამონასტრო კომპლექსი, მასთან ახლოს შემაღლებულ ფერდობზე შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკი (XVI-XVII სს.), რომლის გარშემო შეიმჩნევა გალავნის ნაშთები.

კაკალათხევი – ნასოფლარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთისწინეთზე, ხაშურის ჩრდილოეთით. მდებარეობს სურამის სადაბო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს კაკალათხევს და რუკაზეც აღუნიშნავს.

იოანე ბატონიშვილი სურამის წყალს არსებული სოფლების აღწერის დროს აფიქსირებს კაკალათხევს. ამ დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

კაკალათხევი ცნობილია მლაშე, მარილიანი წყლებით. აქედან იღებს სათავეს მდ. ღარიბაღელე და ცენეკაშვილების ღელე. არის კაკლათხევის სახელწოდების სერიც.

1865 წელს კაკალათხევში 6 კომლი სახელმწიფო გლეხი სახლობდა.

1886 წელს კი აქ ცხოვრობს 16 კომლი (65 კაცი და 44 ქალი, სულ 109 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

სახელწოდება კაკალათხევი მომდინარეობს კაკალაშვილების გვარიდან, რომლებიც სურამში ცხოვრობდნენ. კაკალაშვილების გვარის წარმომადგენლები სურამში არიან მამასახლისები, სურამის ციხისთავები და სხვა. 1797 წლის 22 დეკემბრის იულონ ბატონიშვილის წერილში ნათქვამია, რომ „...ერთი სურამელი, კაკალაშვილი ბერი... სურამის ციხეში იყო ციხის თავად დაყენებული მისის უმაღლესობის მეფისაგან“ (ერეკლე II–თ.ლ.).

ლუარსაბ მურვანიშვილის ასულის, მაიას თხოვნიდან ჩანს (თარიღდება XIX ს-ის დასაწყისით), რომ კაკალათხევში მურვანიშვილებს „საღალო მამულები“ ჰქონიათ.

კაკალათხევში სახლობდნენ გვარები: ლაბაძე, აბრამაშვილი ღარიბაშვილი, ხაჩიძე, ციცვიძე...

კაკალათხევი ანთროპონიმური წარმოშობის ტოპონიმია და სიტყვათშეერთებითაა მიღებული.

კვართისა – ნასოფლარი ლიხის ქედის სამხრეთ კალთაზე, სოფლების – გვერდისუბნისა და ბეკამის სიახლოვეს. მდებარეობს სურამის სადაბო საკრებულოს ტერიტორიაზე.

აქ შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ანტიკური ხანით თარიღდება, გვხვდება ადრეფეოდალური ხანის ნიმუშებიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ კვართისაში მოსახლეობა შორეული წარსულიდან მკვიდრობდა.

საისტორიო წყაროებში კვართისა XVI ს. 80-იანი წლებიდან გვხვდება. მას მოიხსენიებს დეროთეოზ კათალიკოსი იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელში. მას იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს ორი კომლი გლეხი: ,,კუართისას ტუკაძე როსტევანი მისი შვილებითა და მომავლითა, კიდევ ბაწუნწელაშვილი დათვია საზვერლისეულის მამულითა“.

კვართისას არ იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები, იგი არც სხვა წყაროებში გვხვდება. ვფიქრობთ, კვართისა, როგორც სოფელი, მანამდე მოიშალა. მოსახლეობაში კი შემორჩა ტრადიცია იმის შესახებ, რომ კვართისა ძველი ნასოფლარია.

აქ არის ამაღლების ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

სახელწოდება კვართისა მომდინარეობს სიტყვა კუართიდან (კვართი). ნაწარმოებია –ის(ა) სუფიქსის მეშვეობით.

არის ამავე სახელწოდების სერი.

ს. ს. ორბელიანის მიხედვით, კუართი (კვართი) ,,ჯუბა, გინა პერანგია”, აგრეთვე ,,ჯუბა, გინა პერანგის მსგავსი, პერანგი”.

მკვლევარ მ. დანდურიშვილის ცნობით, გადმოცემის თანახმად, ელიოზ მცხეთელსა და ლონგინოზ კარსნელს იერუსალიმიდან მცხეთისაკენ მიმავლებს, სწორედ აქ დაუსვენიათ და მაცხოვრის უკერველი კვართი, რომელსაც ისინი მოაბრძანებდნენ, აქ დაუბრძანებიათ. ამიტომ ამ ადგილს ,,კვართისა” ეწოდა.

კვერცხობი – ნასოფლარი მდ. ჭერათხევის (ალის ფრონე, ალის წყალი) მარცხენა მხარეს, შიდა ქართლის ვაკეზე, სოფელ ნაბახტევის აღმოსავლეთით. მდებარეობს ალის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ივანე ჯავახიშვილი, როდესაც მიმოიხილავს VII–XII საუკუნეების საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, აღნიშნავს: „ვერც „კუერცხობას“ მდებარეობის გარკვევა შევძელით ჯერჯერობით, ცხადია, მხოლოდ, რომ იგი ქართლში უნდა ყოფილიყო. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ როდესაც ბუღამ თბილისი დაწვა, „თევდოსი, მეფე აფხაზთა, გადმოვიდა წინააღმდგომად მისსა, დადგა კუერცხობასა“.

აქ 853 წელს არაბებსა და ქართველებს შორის მოხდა ბრძოლა, რომელშიც ქართველები დამარცხდნენ.

კვერცხობის არსებობა დასტურდება სხვა წყაროებითაც. 1685 წელს, გიორგი XI-ემ კვერცხობი ნაბახტევთან და სხვა სოფლებთან ერთად სამეფო კარის მდივანს - ბეგთაბეგ შანშეან მარტიროზაშვილს და მის შვილებს - ავთანდილსა და ბეჟანს უბოძა.

მომდევნო საუკუნეების დოკუმენტებში კვერცხობი აღარ გვხვდება. მას არ იცნობს ვახუშტი ბატონიშვილი. არც იოანე ბატონიშვილი აფიქსირებს ალის წყლის ხეობის აღწერის დროს.

თუ როდის ან რა მიზეზით მოიშალა იგი, ჩვენთვის უცნობია.

სახელწოდება კვერცხობი მიღებულია – ობ ბოლოსართით, – ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ფუძეა – ,,კვერცხ”.

კვერცხობში მდებარეობს ეკლესია, რომელიც განვითარებული ფეოდალური ხანით თარიღდება. ეკლესიას XX ს-ის 80-იან წლებში გაუკეთდა რესტავრაცია.

კლდიელები – იხ. ცოცხნარა

კლდისწყარო (ალი) – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთისწინეთზე. ხაშურიდან დაშორებულია 10 კილომეტრით, ზ.დ. 800 მ. შედის ალის სასოფლო საკრებულოში. ცნობილია ალის კლდისწყაროს სახელწოდებითაც.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს კლდისწყაროს და დატანილი აქვს რუკაზე. იოანე ბატონიშვილი სურამის წყლის აღწერისას აფიქსირებს მას, მაგრამ მის დროს (XVIII ს-ის 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს.

კლდისწყარო გვხვდება არაერთ ისტორიულ თუ ეკონომიკური ხასიათის წყაროებში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი უძველესი სოფელია. ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელშიც კლდისწყაროა მოხსენიებული, ეკუთვნის 1685 წელს. დოკუმენტი წარმოადგენს გიორგი XI-ის წყალობის წიგნს, რომლის მიხედვითაც კლდისწყარო შანშეან მარტიროზაშვილის მამულია: „...შეგიწყალეთ და მოგიბოძეთ ისევ თქვენი მკვიდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი, ნორაშნითა, კვერცხობითა, კლდისწყაროთა...“

როგორც ვხედავთ, კლდისწყარო მარტიროზაშვილების (შემდგომში ბეგთაბეგიშვილები) მიერ ყოფილა ნაყიდი და როცა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი იწერებოდა, იგი მათ მკვიდრ მამულად ითვლებოდა.

1715 წლის 27 თებერვალს, ქართლის მეფე იესე, კლდისწყაროს განაჩენით აძლევს ელიზბარ დავითიშვილს.

ბაგრატიონ-დავითიშვილების 1750 წლის წიგნის გაყრის მიხედვით კლდისწყარო კვლავ მათ ხელშია:

„ერთ წილად კლდისწყაროს, შიო პეტრიასშვილი, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, იმ მამულით ერგო ბერს...

ერთ წილად კლდისწყაროს ჭალიძე ბერუკა, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, იმ თავისი მამულით ერგო ბერს“.

XVIII ს-ის 90-იანი წლებიდან კლდისწყაროში მამულებს ფლობენ ვეზირიშვილები. 1790 წელს გიორგი ვეზირიშვილი ელიზბარ დავითიშვილისგან ყიდულობს მის წილ მამულს კლდისწყაროში: „... დამჭირა და მოგყიდე ჩემი მამა-პაპათ მამული კლდისწყაროს ჩემის წილიდამ მე ელიზბარ დავითისშვილმა... შენ ვეზირისშვილს გიორგის“.

კლდისწყარო, XVII–XVIII საუკუნეების ზემო, ქართლის მოსახლეობის აღწერის არაერთ დავთარშია მოხსენიებული. ამ დავთრებით კლდისწყაროში კომლთა რაოდენობა თითქმის ერთნაირია და მერყეობს 11-დან 13 კომლამდე. დავთრების მიხედვით, აქ სახლობენ გვარები: პეტრიაშვილი, ჭალიძე, ბუდახაშვილი, გოშნიაშვილი, შაქარაშვილი, ოქრუაძე, ბიწაძე, იორდანეშვილი...

1728 წელს , კლდისწყაროში მცხოვრები 25 კომლი იხდის ყველა საოსმალო გადასახადს, რომლის ჯამიც შეადგენს 5436 ახჩას.

1865 წელს, აქ 3 კომლი გლეხი სახლობს, რომელთაგან 1 კომლი სახელმწიფო, ხოლო 2 დროებით ვალდებული იყო.

1886 წლის აღწერით, კლდისწყაროში 13 კომლი მოსახლეა (75 კაცი და 74 ქალი, სულ 149 კაცი), რომელთა ეროვნული შემადგენლობა მთლიანად ქართულია.

1930 წლის 15 ნოემბრის მონაცემებით, აქ 53 კომლია. მოსახლეობა მთლიანად შეადგენდა 231 კაცს. ამ დროს აქ სახლობდნენ გვარები: გონგლაძე, გელაშვილი, ჯოჯიშვილი, საძაგლიშვილი. შემდგომში მათთან ერთად ვხვდებით ჩადუნელს, სულაბერიძეს.

კლდისწყაროში მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც აგებულია 1894 წელს.

კლდისწყარო (წაღვლი) – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთისწინეთზე. ხაშურიდან დაშორებულია 30 კილომეტრით, ზ. დ. 840 მ. შედის წაღვლის სასოფლო საკრებულოში. ცნობილია წაღვლის კლდისწყაროს სახელწოდებითაც.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები კლდისწყაროს არ იცნობენ, არც ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

1886 წლის აღწერით, აქ 9 კომლი მოსახლეა (27 კაცი და 20 ქალი, სულ 47 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: ასანიძე, ბარბაქაძე, გაფრინდაშვილი, გელაშვილი, დარბაიძე, კურტანიძე, ნოზაძე, ობოლაძე, ოდიკაძე, რიკაძე, სულაბერიძე, შეყელაშვილი, შუკაკიძე, ხარაიშვილი...

სახელწოდება მიღებულია სიტყვათშეერთებით, მსაზღვრელიცა (კლდე) და საზღვრულიც (წყარო), ორივე არსებითი სახელია. კლდე ს.ს. ორბელიანის განმარტებით არის “... მთათა, გინა ბორცვთა ანუ გვერდობთა ნაკვთი რაიმე დიდი ქვა იყოს”.

კლდისწყაროში შემორჩენილია წმ. მარიამის ეკლესია, რომელიც ძლიერ დაზიანებულია, თარიღდება გვიანფეოდალური ხანით.

კოდიწყარო – ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ე.წ. ღორინამკლის მთის ძირში. მდებარეობს ცხრამუხის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

მას არ იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები, არც ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის წყაროებში გვხვდება.

აქ სახლობდა დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან გადმოსული მოსახლეობა.

1925 წელს კოდიწყაროში 35 კომლი მოსახლეა. აქ სახლობდნენ გვარები: ნოზაძე (18 კომლი), ლომიძე (1 კომლი), ციცქიშვილი (5 კომლი), კურტანიძე (11 კომლი).

აქ მდებარეობს კოდიწყაროს ცნობილი ტბა.

კოდიწყარო მოიშალა XX საუკუნის 60-იან წლებში, როცა მოსახლეობა ქ. ხაშურში ჩაასახლეს.

სახელწოდება კოდიწყარო სიტყვათშეერთებით არის მიღებული. ამ შემთხვევაშიც მსაზღვრელი (კოდი) და საზღვრული (წყარო) არსებითი სახელები არიან.

კოდი მარცვლეულის საწყაოა XV-XIX სს. საქართველოში. კოდის მასა სხვადასხვაა. ცნობილია 8-10 და 12 ლიტრიანი კოდები. ,,სწორ” (კანონიკურ) კოდში 10 ლიტრა ხორბალი და 8 ლიტრა ქერი ჩადიოდა. ს.ს. ორბელიანის მიხედვით კოდი “ადგილ-ადგილ მეტ-ნაკლები იციან, არამედ სწორი სარწყავი ესე არს: ახლისა ლიტრთა ათი შთაიტიოს, რომელ არს ორასისა თუხტისა წონა”.

ამავე სახელწოდების სოფლები გვაქვს დუშეთის, თეორი წყაროს და კასპის რაიონებში.

სოფლიდან მოშორებით, ტბის მახლობლად, დასავლეთით შემორჩენილი იყო ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები, რომელიც 80-იან წლებში მოსახლეობამ აღადგინა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სოფო საჟინიანი: მე ჩემს ქვეყანაში ყოფნა და მის განვითარებაში მონაწილეობის მიღება მსურს

დღევანდელ ნომერში უამრავი მუსიკალური კონკურსის წარმატებულ მონაწილეს – უნიჭიერეს და უმშვენიერეს სოფო საჟინიანს უფრო ახლოდან გაგაცნობთ. ჩვენი შეხვედრის უმთავრესი მიზეზი მის მიერ ახალგახსნილი მუსიკალური სტუდია „დაიმონდი" გახლდათ. რესპოდენტი საკმაოდ მოტივირებული და მიზანდასახული დაგხვდა, ჩვენ კი ვთვლით, რომ მისი ეს შემართება ახალი სისხლი იქნება რაიონში მუსიკის როლის გაზრდა-განვითარებაში. სტუდიის მუშაობაზე, სოფოს მუსიკალური კარიერის განვლილ გზაზე და სამომავლო გეგმებზე, ვრცლად ინტერვიუდან შეიტყობთ.

- სოფო, როდის გადაწყვიტე, რომ საბავშვო ვოკალური სტუდია გაგეხსნა და რა იყო შენი მიზანი?

– ყოველთვის მსურდა საკუთარი სტუდიის გაკეთება, დიდი ხანია ვგეგმავდი, დაახლოებით, 2015 წლიდან, როდესაც პირველად ვმონაწილეობდი პროექტში „Xფაქტორი". ძალიან სასიამოვნო განცდაა, როდესაც შენს გამოცდილებას სხვა ადამიანებს უზიარებ, ამ შემთხვევაში – ბავშვებს, ისინი იყენებენ შენ განვლილ გზას თავიანთი წარმატებისთვის, ამის საუკეთესო გაგებით. ახლა, ამიტომაც გავაკეთე, ვთვლიდი, რომ მზად ვიყავი, დარწმუნებული ვიყავი საკუთარ თავში, ვფიქრობდი, თუ ამ საქმეს ხელს მოვკიდებდი აუცილებლად გამომივიდოდა. ბავშვები ძალიან მეხმარებიან უფრო მეტად განვითარებაში, რათა ჩემი თავი სხვადასხვა ასპექტში დავინახო და შეიძლება ითქვას, თავიდან აღმოვაჩინო. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა ამდენი გამოხმაურება თუ მექნებოდა, ამასთან, საოცრად ნიჭიერი ბავშვების ნაკადია. ჩემს თბილისელ კოლეგებთან მაქვს ურთიერთობა, ვისაც ბავშვთა ვოკალური სტუდიები აქვთ და კონტიგენტსაც, მეტნაკლებად, ვიცნობ, გამომდინარე აქედან, უნდა აღვნიშნო, რომ ხაშურელი ბავშვები თვითნასწავლები, მაგრამ ბევრად უფრო ნიჭიერები არიან. ცხადია, სამუშაო ბევრია მათთან, მაგრამ მონაცემები შესამჩნევად კარგი აქვთ, თუ ბოლომდე მომყვებიან, ერთად დიდ წარმატებას მივაღწევთ.

- მომიყევით სტუდიის კონტიგენტზე...

– სტუდიაში ვიღებ ბავშვებს 5წლიდან - 17 წლამდე. მეცადინეობები კვირაში ორჯერ უტარდებათ – შაბათ-კვირა. არის შემთხვევები, როდესაც დამატებით გაკვეთილებსაც ვუტარებ. უკვე საკმაოდ ბევრი ბავშვი მყავს და გრაფიკიც საკმაოდ დატვირთული. ჯერ მხოლოდ 4 თვეა, რაც გავხსენი სტუდია და მსურველთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს, თუმცა ჩემი სტუდიის კარი ყოველთვის ღიაა ნიჭიერი მოსწავლეებისათვის. ჩემი უმთავრესი მიზანია ხარისხი და არა რაოდენობა. ფიზიკურად ვერ მივიღებ ბავშვს სტუდიაში, თუ მას სმენასთან ან ხმასთან გარკვეული პრობლემები აქვს.

- სოფო, ხაშურშიც არის რამდენიმე საბავშო სტუდია, თუ თვლი, რომ ხაშურში კონკურენტული გარემოა და არჩევანი შენს სტუდიაზე რატომ უნდა გააკეთოს მშობელმა ან ბავშვმა?

– ჯანსაღი კონკურენცია, ცხადია, კარგია, მივესალმები. დიახ, ხაშურშიც არის საბავშვო სტუდიები და ყველას საკუთარი სპეციფიკა და მეთოდები აქვს, მაგრამ მე ვთვლი, რომ ჩემეული მიდგომები სრულიად ახალი და თანამედროვეა. დავამატებ იმასაც, რომ ეს სწორედ ის მეთოდებია, რომლებიც ახალ სუნთქვას გაუხსნის ჩვენს რაიონს, რომელსაც ეს ასე ძლიერ სჭირდება.

- სტუდიისგან დამოუკიდებლად რა ხდება შენს მუსიკალურ კარიერაში?

– საქართველოში, რეალურად, ხელოვანი ადამიანი ძალიან დაჩაგრულია, არანაირი ხელშეწყობა არ გვაქვს. თუმცა ჩვენ ძალიან ვცდილობთ, განსაკუთრებით ჩემი თაობა, რომ ეს უარყოფითი ფონი როგორმე შევცვალოთ, ისევ და ისევ ჩვენი შრომით და მონდომებით. გვაქვს ივენთები, გალა-კონცერტები, ვმღერით ლაუნჯებში და ა.შ. აქვე დავამატებ, რომ მართალია საკუთარი სოლო კონცერტი არ მქონია, თუმცა, როდესაც ვმნაწილეობდი პროექტში „ვოისი", ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ, ერთი დღით, დამითმო კულტურის სახლი და ეს სოლო კონცერტი იყო ჩემი პროექტში მონაწილეობის მხარდასაჭერი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს მერიას. ვიქნები გულწრფელი და გეტყვით, რომ საქართველოში იმდენად კონკურენტული გარემოა ე.წ შოუბიზნესში, რომ არიან პიროვნებები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ, წინააღმდეგობას გიწევენ, შენში კონკურენტს ხედავენ, რადგანაც, შესაძლოა შენ მასზე უკეთესი ვოკალური მონაცემები გაქვს, უკეთ გამოიყურები და ა.შ. ვაღიარებ იმასაც, რომ დღესდღეობით, ჩემს კარიერაში უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორია, თანაც გამიზნული.

- როგორც ვიცით, შენთვის დაწერილი სიმღერაც არსებობს...

– კომპოზიტორმა მაია კაჭკაჭიშვილმა დამიწერა სიმღერა „გეძახი", რომლის პრემიერაც იყო გასული წლის 18 აპრილს, გადაცემა „პრაიმ-შოუში". სიმღერა

რუსთაველის თეატრის ხმისჩამწერ სტუდიაში ჩავწერე და ძალიან კარგი გამოვიდა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მაია კაჭკაჭიშვილს.

- მოგვიყევი იმ პროექტებზე, რომლებშიც ასე წარმატებით მონაწილეობდი და რა გამოცდილება მოგცეს მათ ცხოვრებაში?

– დავიწყებ სულ თავიდან. 2012 წელს გავიმარჯვე პროექტში „ნუცას სკოლა". ეს პროექტი გახლდათ ჩემს კარიერაში დიდი ტრამპლინი. ნუცა ჯანელიძე იყო ჩვენი ხელმძღვანელი და, მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, რასაც დიდი სიამოვნებით ვუზიარებ ჩემს მოსწავლეებსაც. ნუცასთან განვვითარდი როგორც მუსიკალურად, ასევე პიროვნულად. დღემდე მაქვს მასთან ურთიერთობა და რჩევებს დღემდე ვიღებ მისგან. ჩემი სტუდიის გახსნის ამბავიც ძალიან გაეხარდა. ძალიან კარგ პედაგოგებთან მომიწია მუშაობა სხვადასხვა პროექტებში მაგალითად „ვოისში" რუსა მორჩილაძესთან და მათი ეს გაკვეთილები დამეხმარა და გავბედე საკუთარი სტუდიის გახსნა, სადაც დადებითმა შედეგმა არ დააყოვნა - კმაყოფილები არიან როგორც ბავშვები, ასევე მშობლებიც.

- რა გემბები გაქვს სამომავლოდ, თუ ფიქრობ კვლავ რომელიმე პროექტში მონაწილეობას?

– ვფიქრობ, რომ საქართველოში პროექტებში მონაწილეობას აღარ მივიღებ, უფრო საზღვარგარეთს უკავშირდება ჩემი სამომავლო გეგმები ამ მიმართულებით, თუმცა კონკრეტულად, რომელ ქვეყანაში, ჯერ გადაწვეტილი არ მაქვს. იმასც გეტვით, რომ საქართველოდან სულ წასვლა არ მინდა, მე ჩემს ქვეყანაში ყოფნა და მის განვითარებაში მონაწილეობის მიღება მსურს, ვგრძნობ რომ ჩემს რაიონს ძალიან ვჭირდები. ამჟამად, კი ჩემი გონება 100%-ით სტუდიისკენ და მისი განვითარებისკენაა მიმართული.

თინა ახალკაცი

9 აპრილი, გარდა ეროვნული მწუხარებისა, ეროვნული ამაღლების დღეცაა

„საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი

უდიდებულესი, როდესაც ამ 70-წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში, პირველად ასე შეკრული, ასე მთლიანი, წარსდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე. ჩვენ გავიმარჯვებთ!"- სულმნათი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ეს სიტყვები, ვფიქრობთ, ყველაზე სრულფასოვნად გამოხატავს 9 აპრილის გმირების, და საერთოდ, 9 აპრილის, როგორც ერთ-ერთი იმ ღირსშესანიშნავთაგანი დღის სულისკვეთებას და მნიშვნელობას , რომელიც არაერთხელ დამდგარა ქართველი ერის ყოფიერებაში, როცა საქართველოს ,როგორც ქვეყნის არსებობის გადამწყვეტი ჟამი დგებოდა. ეს დღე არის განსაკუთრებული დღე, და წამი საქართველოს ცხოვრების უახლოეს ისტორიაში; დღე - ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების, ეროვნული ღირსების გამოხატვის; დღე, რომელმაც საქართველოს თანამედროვე მსოფლიოს თანამეგობრობაში დამკვიდრება, მსოფლიო მოვლენებში თანამონაწილეობა და მისი სახელმწიფოებრივი მომავალი განსაზღვრა.

9 აპრილი ამავე დროს, გარდა ეროვნული ტკივილის და მწუხარებისა, არის დღე ეროვნული ზეიმის და ამაღლების - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, დღე ერის ზვარაკად შეწირულ გმირების საქმეთა უკვდავყოფის, დაკარგულ ისტორიულ სვლაგეზში დაბრუნების, „წინაპართა წესისამებრ ცხოვრების სვლის" გაგრძელების დღე.

სიმბოლურია - 9 აპრილის გმირებს ასაკი, პროფესიული ან გენდერული ნიშნით გამორჩევა არ აქვთ. ისინი სრულიად საქართველოს წარმომადგენლები არიან.

როცა სკოლის მოსწავლეები 9 აპრილის მოვლენებს ეცნობოდნენ, გაიხსენეს, რომ 9 აპრილის 21 გმირთაგან ქ. ვენერა მეტრეველი გვარამაძე (მეტრეველი მეუღლის გვარი) სოფელ ალის მკვიდრი ყოფილა. დაბადებული 1943 წელს, 10 ოქტომბერს. თბილისში რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობდა ექთნად. 9 აპრილის ღამეს გაზით მოწამლული ხალხის დასახმარებლად მივიდა რუსთაველზე. შენობაში სადაც დაზარალებულ ადამიანებს ეხმარებოდა, გაზით მოიწამლა და რამოდენიმე დღეში გარდაიცვალა. 9 აპრილის მოვლენებიდან 30 წელი გავიდა. აქამდე ბევრ მათგანს არ ენახა ქ. ვენერას საფლავზე მდგარი სიმბოლური ნიშანი წარწერით - "ქართველი ერისაგან", რაც ასე თვალსაჩინოს და ხელშესახებს ხდის 9 აპრილის მოვლენების მნიშვნელობას ახალი თაობებისთვის.

ახალგაზრდების გადაწყვეტილებით, მომავალ წელს, ერის ცხოვრების ამ ღირსაღსანიშნავი დღის გახსენება ვენერა გვარამაძის დაკრძალვის ადგილას დაანონსდა.

ალის საჯარო სკოლის დირექცია

გიორგი სუხიაშვილი, ახალგაზრდა შემოქმედი, რომელიც მუსიკას და მხატვრობას თანაბრად უთავსებს ერთმანეთს

ჩვენი გაზეთის საშუალებით, ვცდილობთ, ისეთი ახალგაზრდები გაგაცნოთ, რომლებიც მრავალმხრივ საინტერესონი არიან და ჩვენი ქალაქის მომავალს ქმნიან. **გიორგი სუხიაშვილს** კარგად იცნობენ ის

ადამიანები, რომლებსაც გემოვნებიანი მუსიკა უყვართ. მის ხმას ყველგან გაიგებთ - ჩვენი ბავშვობის გმირებიც, (თოჯინების თეატრში) ხშირად მისი ხმით გვესაუბრებიან. გიორგი ხაშურის ბენდის „სპამ ჯემის“ ვოკალისტია, მაგრამ ცოტამ თუ იცის, მისი მეორე გატაცების შესახებ-როგორც თვითონ გვითხრა, ბავშვობიდან ხატავს, თვითნასწავლი მხატვარია და მალე გამოფენისთვისაც ემზადება:

- გიორგი, ხაშურში და მის გარეთაც გიცნობენ, როგორც მუსიკოსს, გაგვაცანი შენი თავი უფრო ახლოდან?

–მეშვიდე წელია მუსიკალურ სფეროში ვარ, თავიდან ვოკალისტი ვიყავი, მერე ბასგიტარაც შევითავსე. ჯგუფში ვმღერი, გემოვნებიან მუსიკას ვქმნით. ვმუშაობთ ალბომზე, ორი კლიპიც გადავიღეთ და მესამე სიმღერის კლიპზეც დავიწყებთ მალე მუშაობას. ამ მხრივ, ძნელია საქართველოში წარმატებას მიაღწიო, რადგან შოუბიზნესი საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს, როგორი პროდუქტიც არ უნდა შექმნა, მსმენელი მაინც არ გყავს, შეიძლება კორპორატიულ ღონისძიებებზე დაგიძახონ, ესაა ჩვენი შემოსავლის წყაროც და განვითარების მაქსიმუმიც.



- ძალიან საინტერესო ადამიანი ხარ, მრავალფეროვანი ინტერესებით. ხატვა როგორ გაჩნდა შენ ცხოვრებაში?

–დიდი ხანია ვხატავ, გრაფიკაში ვმუშაობდი თავიდან, მეგობრებს ვხატავდი. არც პროფესიული განათლება მაქვს ამ კუთხით, მაგრამ ვხვდებოდი, რომ საკუთარი თავის პოვნა შემეძლო, საკუთარი განცდების და ემოციების



ფერებით გადმოცემა. ძალიან დამაინტერესა ტილოზე მუშაობამ. ძალიან მომთხოვნი ვარ საკუთარი თავის მიმართ, მეშინოდა, რომ არ გამომსვლოდა, რადგან ტილოზე ხატვა, სხვა სპეციფიკაა. ორი თვის წინ ვიყიდე საღებავები, ორი ნახატიც დავხატე აკრილში. ტილოზე ხატვა,არ აღმოჩნდა ჩემთვის რთული.

- შენი პირველი ნახატი თუ გახსოვს?

–პირველი ნახატი პორტრეტი იყო. პორტრეტის ხატვა, როგორც თავიდან წარმომედგინა, არც ისე მარტივია. თუმცა, ძალიან კომფორტულია ჩემთვის. უკვე პროფესიულად, ფორმატებზე დავიწყე ხატვა და ძირითადად ის სათქმელი გადმოვეცი, რაც შინაგანად მქონდა დაგროვილი, რასაც მუსიკით ვერ გადმოვცემდი, ფერებით გადმოვეცი.

- პროფესიონალი მხატვრების შეფასებები თუ მოგისმენია შენ შემოქმედებასთან დაკავშირებით?

–რამდენიმე მხატვარს ვაჩვენე ჩემი ნახატები, სოციალურ ქსელებშიც დიდი გამოხმაურება მაქვს.

- რამდენადაც ვიცი, გამოფენისთვის ემზადები...

–40 ნახატი მაქვს ამ ეტაპზე, თავდაპირველად, გამოფენის გაკეთება არც მიფიქრია, რადგან შინაგანი ღელვა მქონდა, რადგან პროფესიონალი მხატვარი არ ვარ და არც შესაბამისი განათლება მიმიღია. ჩემი მეგობრების თხოვნით, გადავწყვიტე, ხაშურში, უახლოეს პერიოდში მოვაწყო გამოფენა. ამ გამოფენას სერიოზულად ვუდგები. სხვადასხვა მხატვრულ და ტექნიკურ სიახლეებზეც ვფიქრობ, რომელიც სინთეზურად ძალიან საინტერესო იქნება.

- სად უფრო კარგად გრძნობ თავს, მუსიკაში თუ მხატვრობაში? რომელი უფრო მეტია შენში?

–მაგაზე არ მიფიქრია, ყველგან ვარ, სადაც ხელოვნებაა. მხატვრობა, მუსიკა თუ სხვა სფერო, ერთნაირად საინტერესო და ჩემეულია. ძალიან მინდა ყველა საქმეს პროფესიულად მივუდგე, სამწუხაროდ, ხშირად მატერიალური პრობლემები მიშლის ხელს. ამ ეტაპზე, თოჯინების გაკეთების შესწავლითაც ვარ დაკავებული. ერთი თოჯინა, ჩვენ თეატრში უკვე წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა საბავშვო სპექტაკლებში.

- შენი ნახატების გაყიდვაზე თუ ფიქრობ სამომავლოდ?

–აქამდე არ მიფიქრია, რადგან გამოფენის მოწყობა მინდა, მჭირდება ნახატების გარკვეული რაოდენობა, თუმცა, რა თქმა უნდა, ვაპირებ. ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც ონლაინ გაყიდვებს აწარმოებს, მსოფლიოს სხვადასხვა დიდ ქვეყნებს შესთავაზებს რამდენიმე მხატვრის ნამუშევრებს, მათ შორის ჩემს ნახატებს, რაც ამ ეტაპზე, ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ძალიან მინდა, მომეცეს შესაძლებლობა, ვისწავლო და განვვითარდე პროფესიულად.

თ. ჯავახიშვილი

გაზეთის „ხაშურის მოამბე“ - თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამარ ჩადუნელს და ეთერ არჯევანიძეს ძმისა და მამის

ზურაბ ჩადუნელის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.